№ 140. 19 ივლისი, სამშაბათი. 1866—1883 19 ივლისი, სამშაბათი. № 140.

# დროება

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. მუხრან ბატონის სახლებში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა . . . 9 მან. | სამის თვისა . . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . . 5 მან. | ერთის თვისა . . 1 მან.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადებები მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დაუბეჭდავად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდველ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

მიიღება ხელის-მოწერა გაზეთ

„დროებაზედ“

ნახევარ წლით პირველის ივლისიდამ წლის დამლევამდე. ფასი ხუთი მანათი.

სოფლის მასწავლებლებისათვის ოთხი მანათი.

«დროების» ნომრები თითო შაურად იყიდება, თბილისს გარდა:

ქუთაისში, ჭილაძის მაღაზიაში,

ბათუმში, ფეიქაროვის თამბაქოს მაღაზიაში,

დუშეთში, გაბო ბაშაროვთან.

გორში, საზოგადოების დეპოში, აღალო თუთაევთან.

აქვე მიიღება ხელის-მოწერა.

## ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი.»)

**პეტერბურღი**, 16 ივლისს. მოსკოვის გენერალ-გუბერნატორს, თ. დოლგორუკოვს ებოძა უმაღლეს რესკრიპთან ერთად ბრილიანტებით მოჭედილი მედალი მაცხოვრის ტაძრის კურთხევის სახსოვრად.

შინაგან საქმეთა მინისტრმა მოახდინა განკარგულება: არ შეუშვან ბალტიის ნავთ სადგურებში ეგვიპტიდამ მოსული გემები, თუ მოწმობა არ ექნებათ, რომ კარანტინში დგომილან.

**ლონდონი**. დილკმა გამოაცხადა პალატაში რომ ჯერ ევროპაში ერთი მაგალითიც არა ყოფილა აზიური ხოლერით ავადმყოფობისა.

**ლიპეცკი**, 17 ივლისს. გეოლოგიის პროფესორმა მუშკეტოვმა გამოაჩინა ორი რკინის წყარო.

**ოდესა**. ხანკოუდამ გამოვიდა შვიდი რუსის გემი, ჩაით დადებული, რომლებმაც წამოიღეს თითქმის ნახევარი ჩაის მოსავალი.

**კაირი**. ხოლერამ თან-და-თან იკლო.

**პარიჟი**. პოლკოვნიკი ბადენსი 19 ივლისს (ახალი სტილით) გამოუვარდათ ხანაუდამ ტონკინში და საგრძნობლად დაამარცხა მტერი, წაართვა შვიდი ზარბაზანი.

## სალმრთო წესების მაზანდა *)

თბილისი, 16 ივლისს.

**წინეთ**, ერთს მოწინავე წერილში*) გამოვსთქვით, რომ მატერიალურად მეტად შევიწროებული სამღვდელოების კეთილ-დღეობის მსურველთ და მზრუნველთ სწადიანთ ორ ნაირი საშუალებით წამოაყენონ სამღვდელოება ფეხზედ: ზოგი ფიქრობს სამღვდელოებას ხაზინიდამ ჯამაგირი დაენიშნოს, ზოგიც იმ აზრისაა, რომ ყველა მღვდელ-მოქმედებაზედ ერთხელ და ერთხელ მაზანდა იყოს დადებული.

**ჩვენ** პრინციპიალური მოწინაამდეგენი ვართ, როგორც ჯამაგირისა, ისე მაზანდისა. პირველისა იმიტომ, რომ ხაზინიდამ ჯამაგირის ღება, მღვდელს ჩინოვნიკს უთანაბრებს; ისე გამოდის, რომ სამღვდელოება, ვითომ მართებლობასა ჰყავს ჯამაგირით დაქირავებული და მისი აგენტები არიან და ამ ნაირად სამღვდელოების უწინდელი ქრისტიანული პრინციპი ირღვევა. უფრომეტებულად დამცირდება და შეირყევა ეს უმაღლესი პრინციპი, როდესაც მღვდელ-მოქმედებას საკვები ხორაგეულივით მაზანდა დაენიშნება.

**რაც** უნდა მაზანდები წერონ, ამითი უფრო სულ წინაამდეგ მიზანს მიაღწევენ და სამღვდელოების გატეხილ სახელს უფრო მომეტებულად გასტეხენ და დამცირებენ, რადგანაც მაზანდა ვერ მოსპობს მღვდელსა და მრევლს შუა ვაჭრობას და გაძლიერებს კი. ამის დამტკიცებას ცოტა ქვევით შეხვდებით.

**ჯერ** ქალაქებში ყოველ კვირა უწერენ ყასბებს ხორცის მაზანდას და ამათთვის ვერ გაუყიდვინებიათ მაზანდაზედ, თუმცა «ბაზარნიკები» და პოლიცია კრიჭაში მიუყენებიათ; მაშ როგორ უნდათ მღვდელს დაწერილ მაზანდაზედ აღებინონ ჯვარის საწერი, ან სამარხი, თუნდ რომ პრინციპით კარგიც რამ იყოს ეს მაზანდა? **ი**ქნება მღვდელ-მოქმედების მაზანდით სყიდვის მქადაგებელი კიდეც ჰსურდეთ, რომ სამღვდელოებას მეთვალყურედ მამასახლისი, ნაცვალი და გზირი მიუყენებენ? **თ**უ ამ დამცირებამდე მიიყვანთ სამღვდელოებას, მაშინ უმჯობესი იქნება ეკლესიები მთლად დაჰკეტოთ და მათი მოსამსახურენიც მოსპოთ...

**ჩვენის** ფიქრით, უფრო უმჯობესი იქნებოდა, რომ ძველი ქრისტიანული წესისამებრ ეკლესიის კრებულს მრევლი ასაზრდოებდეს ნება-ყოფლობითი შესაწირავით, მაგრამ რადგანაც ეხლანდელ ერის კაცთ ძველი ქრისტიანების შეხედულობა აღარ აქვთ, უთხოვნელად მღვდელს ერთს გამხმარს პურსაც არ მისცემენ და ეს უკანასკნელნიც უსხეულო ანგელოზნი არ არიან, რომ უსმელ-უჭმელად ცხოვრება შეეძლოთ, მაშინ ორ ბოროტებაში, ძალა-უნებურად, უმცირესი უნდა ავარჩიოთ და ეს უმცირესი და მასთან უმჯობესიც იქნება ჯამაგირი, და არას გზით მაზანდა (ტაქსა).

**რაც** უნდა მცირედი ჯამაგირი დაუნიშნონ, სამღვდელოება ამას ირჩევს, ოღონდ კი ამ უსიამოვნო მდგომარეობიდამ გამოიყვანონ და პინა-ტომარით აღარ დადიოდენ კარ-და-კარ. მრევლისთვისაც ესე გასაჭირი აღარ იქნება სამღვდელოების შენახვა.

**ჩვენ** ძლიერ გვიკვირს, რომ იმ სამღვდელო პირთაგან შემდგარ კამიტეტს, რომელიც ამ საგნის შესახებ იყო შემდგარი მაზანდა უმჯობინებია ჯამაგირისთვის და კიდეც დაუწერიათ. **ე**ს ახალი მაზანდა სასულიერო მთავრობას სამღვდელოებისთვის კიდეც დაურიგებია და გუბერნატორს მაზრის უფროსების საშუალებით სოფლის საზოგადოებისთვის სახელმძღვანელოდ. **ა**ი თავი-და-თავი სიბრძნე ამ მაზანდისა. **ჯ**ვარის საწერი სამ კატეგორიად განიყოფება: შეძლებულ კაცს, ესე იგი ლიტრის კაცს სოფელში, გამოერთმევა ერთი თუმანი; შუათანა შეძლებულ კაცს, ესე იგი ჩარექის კაცს, გამოერთმევა შვიდი მანეთი; და უკანასკნელს—ხუთი მანეთი. **მ**ერე როგორ უნდა გაარჩიოს მღვდელმა ვინ ლიტრის კაცია, ვინ ჩარექისა? **რ**ასაკვირველია ყველამ, ჯვარის დასაწერად მისულმა, უნდა მიიტანოს მამასახლისის მოწმობა, მაგრამ ამისთანა მოწმობას მღვდლები ზედაც არ დაჰხედვენ, რადგანაც იმათ კარგად იციან, რომ მომეტებული ნაწილი ჩვენი მამასახლისეხისა იმისთანა მუცელ-ღმერთაებისაგან შესდგება, რომ ერთ სტაქან არაყად, ერთ ჩარექა ღვინოდ როგორიც გნებავთ, იმისთანა მოწმობას მოგცემსთ.

**არც** სამარხია გონიერად გადაწყვეტილი, წინ გასაძლოლი, ნათქვამია

*) იხ. «დროება» № 132.

«დროების» ფელტონი 19 ივლისი.

## დედი-ჩემის ცოდო

(ბერძნული მოთხრობა)

(ფრანცუზულიდამ*)

**ა**ნულა ჩვენი ერთად-ერთი და იყო. **ი**ს იყო ჩვენის ოჯახის ნებიერი; ყველას უყვარდა და სხვებზედ მეტად—დედა-ჩემს. **ს**ტოლზედ თავის გვერდით მოისვამდა ხოლმე, საუკეთესო კერძს აძლევდა, ყოველთვის ახალს ტანისამოსს უკერავდა და ჩვენ კი განსვენებულის მამი-ჩემის ძველს ტანისამოსში ვიყავით გახვეულნი. **ს**წავლაშიაც ძალას არ ატანდენ ანულას: უნდოდა, სკოლაში წავიდოდა, უნდოდა, დარჩებოდა, ერთის სიტყვით თავის ქეიფზედ დადიოდა, მაგრამ ჩვენ სკოლაში წაუსვლელობა არას გზით არ შეგვეძლო.

**ს**ხვა ოჯახში ესეთი თვალ-საჩინო გამორჩევა საშიშს შურს აღძრავდა ბავშვებში, მეტადრე როდესაც ბავშვები პატარები არიან—მე მაშინ ვიყავ შვიდის წლისა, ანულა კიდევ ჩემზედ უფრო პატარა; მაგრამ ჩვენ ყველანი დარწმუნებულნი ვიყავით, რომ დედა-ჩემი მიუფერებელი იყო და ყველა შვილებს ერთის თვალით გვიცქეროდა. **ყ**ველას გვეგონა,—დედა-ჩემი ანულას ასე იმიტომ ექცეოდა, რომ ებრალებოდა, და საბრალოც იყო საწყალი ანულა: პატარაობიდამვე იყო სუსტი და ავადმყოფობდა კიდეც. **ყ**ველა ჩვენგანი, რომელსაც კი, მამი-ჩვენის სიკვდილის შემდეგ, დედი-ჩვენის ალერსზედ უფრო მეტი უფლება ჰქონდა, მზა იყო ეს ალერსი თავის უფროსის დისათვის დაეთმო, მით უფრო დიდის სიამოვნებით, რომ ეს ალერსი ანულას არ აამაყებდა. **ა**ამაყებდა კი არა, უფრო გულს უბრუნებდა ჩვენსკენ და მართლაც ანულას ყველანი გულით ვუყვარდით. **ე**ხლაც მახსოვს იმის დიდრონი შავი თვალები, იმისი მოხრილი და შეერთებული წარბები, რომელნიც მაშინ უფრო შავად გამოსჩანდენ ხოლმე, როდესაც იმის სახეს ნაცრის ფერი ედო.

**რ**აც უფრო ერევოდა ავადმყოფობა ანულას, მით უფრო ნაზს სიყვარულს გვიჩენდა ჩვენ. **ხ**შირად ინახავდა ბალიშ ქვეშ მეზობლებისაგან საყუათოდ მოტანილს ხილს და ჩვენ გვაძლევდა სკოლიდამ დაბრუნების შემდეგ. **მ**აგრამ ამას დედის ჩუმად ჩადიოდა, რადგან დედა-ჩემი ძალიან ჯავრობდა, როდესაც მგელსავით ჩავკბეჩამდით ხოლმე იმ ხილს, რომელსაც ანულა ტუჩსაც ვერ აკარებდა.

**ა**ნულას ავადმყოფობამ დღითი-დღე თავი იჩინა და დედა-ჩემი სულ იმის მოვლასა და ზრუნვაში იყო. **რ**აც მამა-ჩემი მოკვდა, დედა-ჩემს ჩვენის ეზოდამ ფეხი არ გაედგა; ისე ახალგაზდა დაქვრივდა, რომ ეშინოდა მიელო ის თავისუფლება, რომელსაც საზოგადოება აძლევდა და აძლევს თვით **ო**სმალეთშიაც წვრილშვილის დედას. მაგრამ იმ დღეს აქეთ,

*) «Nouvelle Revue», 1 აპრილი 1883 წ.

მაზანდაში, მღვდელმა უნდა აიღოს სამი მანეთი, თუ მიცვალებული ერთ ვერსზედ წასაღები და ყველა მომეტებულ ნახევარ ვერსზედ ათი შაური ემატება. რასა ჰგავს ეს? ხომ უფრო გაახიახეთ ამათი საქმე, ბატონებო, თუ სულიერო მამანო, და აუტკივარი თავი აატკიეთ! ვინ უნდა გამოზომოს მანძილი მიცვალებულის სახლიდამ სასაფლაომდე? მღვდელი გაჰხმდავს და ერთი ვერსის მაგიერ ხუთს იტყვის. მიცვალებულის პატრონი ერთ ვერსადაც ჩასთვლის; ამნაირად, რასაკვირველია ხშირად შეექნებათ ჩხუბი და ამას იქეთ, მგონია, ერთი მკვდარიც აღარ დაიმარხება ულანძღავად. ჰო, შეიძლება ყველა სოფლებში ამას იქით ინჟინერები დანიშნონ სოფლებში ორას თუმნიანი ჯამაგირებით ამ მანძილების გამოსაზომავად. ამისი კი რა მოგახსენოთ, სხვა წვრილი მღვდელ-მოქმედების ფასი, როგორც განათლი, მოსანათლი, პარაკლისი და სხვ. როგორთაც მორიგდებიან ერთმანეთში, ისე იყოსო, ნათქვამია ახალ წესდებაში.

ამასწინად მღვდლები ამისთანა სამსახურისათვის ან სულ არაფერს იღებდენ, ან არა და თითო-ოროლა აბაზსა სჯერდებოდენ, ან თითო ქათამს; ამას იქით კი ჯიბრში ჩაუდგებიან და ფასებს ასწევენ. რომელიც უფრო თავი და თავი შემაწუხებელი სენია სამღვდელოების — მტატი — ისევ ძველებურად ტომრით და პირით უნდა იმრონ კალოებზედ. ეს გახლავთ სამღვდელოების მდგომარეობის გაუმჯობესობაზედ მზრუნველი კომიტეტის დადგინება.

ვურჩევთ ეს ახალი მაზანდა უკანვე წაიღონ და უიმისოდაც გახიახებულ საქმეს მომეტებულად ნუღარ გაუხრახებენ საბრალო მღვდლებს, მინამ საუკეთესოს რასმე მოიგონებენ.

## ახალი ამბები.

≈≈ ერთი სამძღვარ გარეთელი გაზეთი გვატყობინებს რამდენიმე პოლშელ ემიგრანტს, რომელნიც აქამდი პარიჟში სცხოვრებდენ, სდომებიათ სამშობლოში დაბრუნება უმაღლესი მანიფესტის ძალით, მაგრამ სამძღვრის ყარაულებს არ შემოუშვიათ: ჯერ მანიფესტი ძალაში არ შესულაო!?

≈≈ ფინანსთა მინისტრს მოუხდენია განკარგულება, რომ 1 აგვისტოდამ ფუთზე 65 კ. ხარჯი გარდაჰხდეს შაქრის ქვიშას.

≈≈ გაზ. «Times»-სატყობინებენ, რომ 70 სომხის ოჯახი სთხოვს კავკასიის მართებლობას ვანის მაზრიდამ გადასახლებას ყარსის მაზრაში.

≈≈ გაზ. «Эхо» გვატყობინებს, რომ ამ დღეებში ერთს პეტერბურღელ მედროქეს ქუჩაზედ შეკრული უპოვია ორას-ორმოცი ათასი მანეთი (240,000) და მაშინვე პოლიციისთვის წარუდგენია. ბედნიერს მედროქეს კანონით მესამედი ერგება, რომელიც შეადგენს ოთხმოცი-ათას მანეთს, ანუ რვა ათას თუმანს.

## პროვინციელ მტერ-მოყვარეთ.

ჩვენამდე მოაღწია, რომ ზოგიერთ წერილებს და მოკლე შენიშვნებს «დროებისას» ძალიან აუწრიალებია ერთი მაზრის ზოზოღლები და ათას ნაირს მუქარას ითვლევინებიან. პირველად სახიფრით გვაშინებენ მაგრამ ვარწმუნებთ მაზრის ზოზოღლებს, რომ სამართლის სახელით (მხოლოდ სამართლის) ჩვენი შეშინება ულად შეუძლებელია, რადგანაც ჩვენ თითონ გვქიებთ სამართალს, რომლის წინაშეც შემთხვევა მოგვეცემა მოვუთხრათ დანაგრული მაზრის მწარე ეპოქეა და მისთა გმირთა «საქმენი სახელოვანნი» (!) გვაშინებენ კიდევ იმ ლიტერატურით, რომელიც არსად იბეჭდება და ორიოდე რჩეული პირის მეტი არავინა კითხულობს. ქვეც ყალბი ანგარიშია, რადგანაც ამ ბოლოს დროს ბულიუბაშები ისე გამრავლდენ, რომ იმათი სიტყვა და კალმის ნაწარმოები ისე დაფოლდა, როგორც იმერული აბაზი. გვაშინებენ აგრეთვე წარმოიდგინეთ, მუშტით! ხა, ხა, ხა! მაშ მამაცნო გმირნო, მაქეს პატივი წინადვე შევატყობინო თქვენს მაღალ კეთილ შობილებას, რომ ამ ცოტა ხანში ვაპირებ თქვენს საბრძანებელში მოსვლას და რაც უსაქმია, ის მოგვიყიდეთ, თუ სადაც უფრო ვიწრო ალაგი იყოს, იქ არ დამისხდეთ. მაშინ მექნება ბედნიერება თქვენი ფაქტობა გამოვცადო ბრძოლის ველზედ (კანცელიარიაში კარგად ვიცნობ) და ჩემკენ მობრუნებული ქვეფების მხრით ვისიამოვნო.

რა გიჭირთ, ბატონებო? აგერ ბაზაზსანელი პრიკაშჩიკების გაზეთიც თქვენკენა ყოფილა და ვინღა რას დაგაკლებთ. ნეტავი თქვენა!

მარადის თქვენი კეთილის და სწორე კანონიერის გზაზედ დადგომის მსურველი

არაგველი.

## «დროების» კორესპონდენცია.

მეჯვრისხევი, 15 ივლისს. ამას წინად «დროების» № 116-ში იყო დაბეჭდილი ჩემი კორესპონდენცია მეჯვრისხევიდამ, რომელშიაც, სხვა თა შორის, ვამბობდი: «ჩაფრების სხვა ნიმუშებს და იმას, თუ როგორ ხელს უწყობდა (მაშინ დამავიწყდა და ეხლა დავსძენ: იქნება კიდევაც უწყობდეს) იმათს ბაშიბუზუყობას ერთი პატონი ქართველთ ჭამია, შემდეგში აგწერ, თუ დრო მექმნა». ჩემამდე მოვიდა ცნობა, რომ როდესაც ეს კორესპონდენცია წაუკითხავთ გორის ქალაქის სამაზრო სამმართველოში, ალაგრებიათ სინამდვილე ფაქტებისა; თვით ჩაფრებსაც ხმა ჩასწყვეტიათ, მაგრამ სიტყვამ «ქართველთ ჭამიამ» წაახდინა თურმე საქმე. ეს სიტყვა მიუღია თავის თავზე მაზრის უფროსის თანაშემწეს ბ. მელიქ-ადამოვს, რადგანაც იმ ჟამად, როდესაც ჩაფრებმა მეჯვრისხევში, უსანეთობა დღეს, აღწერილი «დროების» № 116-ში უწესოება მოახდინეს, მ—ად—ვი იქ იყო. რომ ჩაფრებმა უწესოება მოახდინეს, ამაში მ—ად—ვი სრულიად დამნაშავე არ არის; მუდამ უკან ვერ სდევს ჩაფრებს, და ამათაც იხელთეს თუ არა დრო, თავიანთი გესლი დაანთხიეს. რაიცა შეეხება სიტყვას «ქართველთ ჭამია» აი ამაზე რას ვიტყვი. ვინემ მ—ად—ვი გორში მოვიდოდა, ჩვენს ქვეყანაში უმრავლეს უწესოებას ახდენდენ ჩაფრები, რომ იმდენი ბეწვი რომ მქონდეს თავზე, რაღა მიშავს. რადგანაც საწყალი ვიყავი, ამიტომ მე განვიზრახე რამდენიმე ნიმუში ჩაფრების ბაშიბუზუყური ქცევისა გამომეაშკარავებინა, იმ ბაშიბუზუყური ქცევისა, რომლებიც არა მ—ად—ვის დროს მომხდარან და თუნდაც მამხდარან, იმის ხელში არ გაუვლიათ; «ქართველთ-ჭამიას» იმ ბატონის წინააღმდეგ ვხმარობ, რომელიც გზას არ აძლევდა ამ ბაშიბუზურ მოქმედებებზე საჩივრებს, — მაშასადამე ეგ სიტყვა მ—ად—ვს არ შეეხება, არც საბუთი მქონდა მისი ამ სახელით მონათვლისა და არც დაუმსახურნია. იმდენი ჭკუა გვაქს, რომ შეგვიძლიან ნახშირის მჭადიდან გარჩევა; მელიქ-ადამოვი იმდენად კარგად იქცევა ჟერეთ, იმდენად საყვარელი კაცია ჩვენს მაზრაში, რომ სირცხვილი იქნებოდა მისი ბეჭვდით შეურაცხყოფა. ჩვენ ისარი სხვისკენ გვაქს მიქცეული და ვინემ ცოცხალ ვარ, ვინემ ის ჩვენ მაზრაშია, იმისკენ ისრის სროლას არ დავიშლი,—ერთხელაც იქნება იმ სქელ კანს გაუმსჭვალავ.

რადგანაც სიტყვამ მოიტანა ჩაფრებზე ლაპარაკი, მაშ ნიმუშად, თუ როგორ არგებს, ერთს ჩაფრების ბაშიბუზუყურის მოქმედებიდამ დასოსლებულს აბს ჩავაყლაპებ იმას, ვინც ყურადღებას არ აქცევდა ჩაფრებს: ჩაფარს ოსეფას, ვგარად მგონი აპრისოვს, გაატანებენ ს. ტყვიავში უწყებას გლეხისათვის ჩასაბარებლად. ბატონი ოსეფა ჩაბარების მაგიერად გლეხს ატყვევებს და გორისკენ უპირებს წაყვანას—ეს იმიტომ რომ ასცინცლოს რამე. ეს ამათი მოქმედების საუკუნო გეგმა გახლავთ. გლეხის ბედზე გაუჩნდება ჩაფარს ტყვიაველი მემამულე ქ. ფავლენიშვილი, რომელიც უხსნის ჩაფარს, რომ უწყება დატყვევებას კი არ თხოულობს, ჩაბარებას მხოლოდ. არ მამიკვდეთ ოსეფა არ წყნარდება, ყვირის, უშვერ ლექსს ხმარობს, ციმბირს უქადის ბ. ფავლენიშვილს. ეს უკანასკნელი გა-

---

რაც ანიულა ლოგინად ჩავარდა, დედა-ჩემმა გადაჭარბებულს მორცხვობას თავი დაანება და კარ-და-კარ დაიწყო სიარული მეზობლებში რჩევის საკითხავად და წამლების მოსატანად თავის პაწია, საყვარელ ავადმყოფისათვის.

ჩვენის უბნის სქელი დალაქი, ერთად-ერთი ექიმი ჩვენს მეზობლობაში, ჩვენს სახლს აღარა შორდებოდა. რამწამს დავინახავდი, მაშინვე ბაყალთან გავიქცევოდი ხოლმე, რადგან დალაქი ავადმყოფთან ისე არ მივიდოდა, რომ ერთი მინა არაყი არ გამოეცალა.

— მე დავბერდი, ჩემო კარგო, ეუბნებოდა ხოლმე დედა-ჩემს, რომელიც ხანდისხან ვერ იტანდა იმის სიმთვრალეს; თუ პატარა არ გადავკარ, თვალი კარგად ვერ მიჭრის.

სწორედ მართალსაც ამბობდა: რაც უფრო დალეული იყო, უკეთესად გამოარჩევდა ხოლმე მსუქანს დედალს ჩვენს ეზოში თან წასაღებად.

თუმცა ბოლოს დროს დედა-ჩემი მის წამლებს აღარც-კი ხმარობდა, მაგრამ მაინც უთქმელად აძლევდა გასამრჯელოს, ჯერ იმიტომ, რომ არ გაეჯავრებინა და მერმედ იმიტომ, რომ იმის პირიდამ ნუგეში მაინც გაეგონა ანიულა მალე მორჩებაო. მართლაც და ამ უკუღმართს ასე ეგონა,—იმის რეცეპტებს ყოველისფერს ასრულებდენ და აჯერებდა დედას ავადმყოფობა ისეთს კალაპოტში ჩაჯდა, როგორც ჩემჰა მეცნიერებამ იგრძნოო და ანიულა უეჭველად განთავისუფლდებაო. ეს მართალიც იყო: ჩვენს საწყალს დას თან-და-თან უარესი დღე ადგებოდა.

ამ დროს დედა-ჩემს თითქმის დავიწყებული ჰქონდა, რომ სხვა შვილებიცა ჰყავდა; უფროსის ქალის ავადმყოფობამ სრულიად გადაასხვაფერა.

დაბალს ხალხში ყოველივე ჩვეულებრივი ავადმყოფობა ან უნდა ადვილობრივის საშუალებით მორჩეს, ან მალე სიკვდილით ბოლო მოეღოს. თუ არც ერთია, არც მეორე, თუ ავადმყოფობა გაგრძელდა, მაშინ არა ჩვეულებრივს ხასიათს მიიღებს ხოლმე და ხალხში აგის ავადმყოფობას ეძახიან. ამბობენ, ავადმყოფი ალბად იმისთანა ალაგას იჯდა, სადაც ავი სული დადის, ან ღამე წყალში გავიდა, ან შავ-კატას გადაალახა, რომელიც კატა კი არ იყო, ეშმაკი იყო კატის სახედ.

დედა-ჩემი უფრო ღვთის-მოყვარე იყო, ვიდრე ცრუ-მორწმუნე. იმას ამისთანა ცრუ-მორწმუნეობა არა სჯეროდა; შელოცვებსა და დაწყევლას ურჩევდენ, მაგრამ უარს ამბობდა, რადგან ეშინოდა ამით ცოდო არ ჩაედინა. მაგრამ ნელ-ნელა დაჰყვა ხალხის ლაპარაკს. ბავშვი უფრო და უფრო ავად გახდა; დედობრიულმა სიყვარულმა დასძლია ცოდვის შიში და სარწმუნოება ცრუ-მორწმუნეობასთან, როგორც იყო, მოთავსდა. ჯვართან ერთად ანიულას ყელზედ ჩამოჰკიდეს რაღაცა ჯადოს გასაქრობი ლოცვები; სასწაულ-მომქმედ წყალს მოჰყვა მღვდლების ლოცვა; მღვდლების ლოცვას—მკითხავების ჩამოლოცვა, მაგრამ ეს ყველაფერი უქმი გამოდგა.

ანიულა უარესად გახდა და დედა-ჩემსაც ისეთი სახე დაედო, რომ ვე-

მოუცხადებს იმას, ვისდამიც ჯერ არს. მ...მ... მაგრამ პატივდებაში იღებს ფავლენიშვილის საჩივარს? ახდენს ფიცხელს განკარგულებას? იახლოვენ ამისთანა ბაშიბუზუყობისთვის ოსეფას ჩაფრობიდამ? არა. რატომ? რა მოგახსენოთ; მაგრამ მგონი იმიტომ რომ ქ. ფავლენიშვილი რა კაციაო, იფიქრეს. ჰო, ის ქართველია და მერე, საუბედუროდ, ახალ-გაზდა ქართველი!! განა შესაძლებელია ამისთინა კაცს სიტყვა დაეჯერებოდესო!?... აი ქართველთ ჭამიაობას ამას ვეძხი!..

ს. მეტეხში სოფლის მასწავლებელი ბ. ოსეფას და ერთს სხვას, ე. ი. ჩაფრებს, კინალამ დაეხრჩოთ, რომ ყოჩაღად არ მოქცეულიყო. ახია! როგორ გაბედა ოსეფების გვერდზე გავლა; განა არ იცოდა, რომ ჩვენ იმათთვინ ვართ გაჩენილნი!?... მასწავლებელმა იჩივლა და საქმე როგორ არის, ღმერთმა უწყის. არა, პირსაფერისად ერთი საქმისთვინ მაინც დაეთხოვნათ ვინმე. რა დიდი თანამდებობა მაგათ უჭირავთ, რომ ფიცხლავ მაგათი დათხოვნა არ შეიძლებოდეს. კიდევ ერთს სოფელში ჩაფრებმა... ეჰ, ნეტა რას ვჩმახავ, რად ვწუხდები, ვის რად უნდა ჩვენი ხალხის შევიწროების გამოაშკარავება. თავშიაც კოხი-ქვა უხლიათ!..

მეჯვრისხევიდამ მომავალს გზაზე ზედდულელი გლეხი შემხვდა; გამარჯობის შემდეგ მე მაშინვე მოსავალზე ჩამოუგდე ლაპარაკი. «ღვთი თვალი ტრიალებს, შენი ჭირიმე, ღვთი! მაგრამ...

— მაგრამ რა? ჩავეკითხე.

— ისა, შენი ჭირიმე, რო ჩვენ მინდორში, აი ტირი-ფონას რო მოგახსენებენ, კალიამ იბარტყა, ი ტიელა ძეელი დანარჩენია, იმრავლა და ეხლა სუ დაფთიანებულები არიან, ცხენიან კაცს გაუჭირდება გავლა. ძიდე კაია, რო ე მოსავალს ვერ მოასწრო; სიმინდს და ვენახებს ნავნევს უზავს.

— რატომ დროზე არ გამოაცხადეთ, რომ რაიმე ზომიერება მიეღოთ.

— ი შენ კი გაკურთა უფალმა! ი ყანებიც მინდორში დაგვრჩებოდა, ჩვენ სუ მუშად გაგვრეკდენ. ისევ ღვთის ანაბარობაზე მივაგდეთ. ე კალიები გვირჩევნიან, შენი კვნესამე, ი ჩაფრების სახლში ჩაყენებას.

ასევე ვკითხე მე ზედდულელ მღვდელს, რომელმაც დამარწმუნა გლეხის ნაამბობის სინამდვილეში. თუ ეხლავე ყურადღება არ მიაქციეს, შეიძლება ეს ერთი მუჭა ფთიანი კალია ბევრ მუჭად იქცეს და მაშინ ფათურს, ეხლავე სჯობს—ამას რაღა ჩიჩინი უნდა—იმათი გაწყობა.

ქართლში აქა იქ საქონლის ჭირია; ამ ჟამად ძალიან გავრცელებულია ბორში; ძალიან საშიშია ეს შემთხვევა, ამიტომ რომ ქართლის სოფელი, მეტადრე ვაკე, შუა ქართლი, ბორს ვერ ასცდება. ძალიან ადვილად შეიძლება აქედამ მთელს ბორის მაზრას მოედოს ჭირი. თავათ ქურდები აჩანაგებენ ჩვენ გლეხობას საქონლიდამ და ეხლა ეს ჭირიც ზედ დაერთო. საშინლად არის გავრცელებული ქურდობა; ქურდობენ ოსები; კომლს ვერ იპოვნით, რომ არა დაეკარგნოს-რა. თუ პატრონი გამოეკიდა და იპოვნა, ჩივილი არ შეუძლიან; «გადაგწვამო» ეუბნებიან, და პატრონებიც ერთი სულის დაკარგვას რჩეობენ მთლად ამოწყვეტას. მეჯვრისხევში ერთმა აზნაურშვილმა გულ-მწუხარედ შემომჩივლა და შემომტირა: «თქვე დალოცვილებო, გვიშველეთ რამე, სწერეთ ამ ქურდობაზე, იქნება ყურადღება მიაქციოს ვინმემო. მოსვენება აღარ არის; დილით საქონელს გავრეკთ და საღამოს გულის ფაც-ფაცით მოველით: ვაი თუ დაჰპარეს ოსებმაო. რა გინდა ჰქნა: უჩივლებ, გადაგწვამენ; დააჭერინებ, გამოუშვებენ; უჩივლებ კიდევ და პალატამდინ გატარებენ და შენ შენი დაგემართება და დაანებებ თავს. ვართ ამ ცეცხლში. ვაჰ, სადა ხარ შე დალოცვილო დიამბეგობავ! იქვა გათავდა, ავად თუ კარგად გაგითავდებოდა საქმე». აი სადამდინ მიუყვანია კაცი უხეირო მდგომარეობას! რას იზამს კაცი, როდესაც ლუკმაც ვერ შეუჭამია თავისუფლად: დიანბეგობას კი არა მეტსაც ინატრებს. ეხლა მაზრის უფროსი დაიარება რევიზიად სოფლებში; ძალიან სასიამოვნო და საიმედო ხმები ისმის ბ. ამილახვრის მოქმედებეებზე. ღმერთმა ინებოს, ღმერთმა ინებოს!! იმედი გვაქვს, რომ ყურადღებას მიაქცევს ჩვენი მაზრის გაჭირვებულს მდგომარეობას, ათას გვარ შევიწროებას, სოფლის ადმინისტრაციის დაუდევრობას, მოქრთამეობას, ამასთან, როგორც განათლებული კაცი, მიაქცევს ყურადღებას ბეჭდითი სიტყვას შესახებ ჩაფრებისა და სხვა-და-სხვა გლეხკაცობის შემავიწროებელ პირთა.

## წერილი რედაქციასადმი.

წავიკითხე, ბატ. უსახელო ავტორო, თქვენი შენიშვნა ოზურგეთის საქალებო სასწავლებლის სასარგებლოთ ჩვენს მიერ გამართულ სეირნობაზე «დროების» 132 №-ში.

მადლობასაც გვეუბნებით და თანაც ლაზათიანი სიტყვებითაც გვამკობთ; მადლობა, ალბათ, იმისი იყო, რომ ნაკლებათ გვეგრძნო თქვენს მიერ მობძღვნილი სიტყვა: «ხალხის ყვლეფვია», მაგრამ ეს სიტყვები ამ შემთხვევაში იგრე ურიგოთ, იგრე უსამართლოთ ნახმარია, რომ არ შემიძლია ჩემის მხრით უყურადღებოთ დავსტოვო.—თქვენ გვიმარტებთ კეთილი მიზნით გამართულ სეირნობის მნიშვნელობას; ეს ჩვენ თქვენი შენიშვნის წინეთაც ვიცოდით და სასურველიც არის სწორეთ რომ საზოგადოებამ მიიღოს სრული კმაყოფილება და სიამოვნება ამისთანა გამართულ სეირნობებზე, მაგრამ რას იქ კაცი, რომ ეს ჩვენი სურვილი ამ ჩვენს ბედ-უკუღმართ ოზურგეთში ერთობ ძნელი შესასრულებელია.

აი ნამდვილი ამბავი ჩვენი გამართული სეირნობისა: ერთ კვირა საღამოს ჩვენ ბაღში გავაწყვეთ ჩაი; ამასთანავე გვქონდა ცოტა ხილიც. ბაღში შემოსვლა უფასო იყო, სტაქანი ჩაი კი აბაზათ. ვისაც სურდა ჩაი—მიირთმევდა, ვისაც არა და ნება მისი იყო.

საზოგადოება, რაკი იცოდა რომ ჩაის ფული სკოლის სასარგებლოთ იყო დანიშნული, სრული თავის ნებით შემოუსხდა ჩვენს სტოლს და ვინ მანეთი დასდო სტაქან ჩაიში, ვინ სამი და ვინ ხუთი.

რა სვინიდისი მოგვცემდა ნებას-გვეთქვა: სტაქან ჩაიში მანეთი მოგვეცა და ერთ კიტრში ხუთი მანეთიო. მაგრამ აქ განა ჩვენი თქმა იყო საჭირო? თვითონ საზოგადოებამ იცოდა რომ იმ მანეთით და ხუთი მანეთით ის სტაქან ჩაის და ერთ კიტრს კი არ ყიდულობდა, არამედ ის ამ ფულით ღარიბ სასწავლებელს ეწეოდა და კიდევაც იმიტომ გამოიჩინეს ისეთი გულ-უხვობა.

ბევრნი წავიდნენ იმ დღეს უჩაიოთ და კაცი არ შეპატიჟებია, როგორც თქვენ ბრძანებთ: გინდათ თუ არა-ჩაი დალიეთ და მანეთი მომეციო; ბევრმაც ჩაი მიირთვა—დანიშნული ფასი ერთი აბაზი დაგვიტოვა არც იმათთვის გვითქვამს: «დღეს რაც გაქვსთ დაგვიტოვეთ და ხვალ კისერი იტეხეთო»; მართალია ორ სამ პირს ჩვენ მანეთის ნაშთი არ დაუბრუნეთ, მაგრამ ესენი ისეთები გახლდნენ, რომლებთაც ნამდვილ ვიცოდით მანეთი და ოცი მანეთი დიდათ არ დააკლდებოდათ.

ვიმეორებ, რომ საზოგადოება სრულს თავის ნებაზე იყო და არავინ მალას არ ატანდა-არა-უთუოთ ჩაი მიირთვი და ამდენი და ამდენი მომეციო, სულ ტყუილათ იბრალებთ, ბატონო ავტორო, ვითომც, ჩვენგან გაყვლეფილ საზოგადოებას.!

დახეთ, რითი ამტკიცებს დალოცვილი ავტორი ჩვენგან ხალხის დაფთხობას: «წლიურს ანგარიშზე რატომ არავინ არ დასწრო?» წლიურს ანგარიშზე როგორ დასწრებოდნენ, რომ არავინ ყოფილა მოწვეული: რადგანაც ბოვშებს წითელა მოედო ამ მიზეზით ყმაწვილების გამოცდაც და წლიური ანგარიშიც უცებ მოხდა.

«ან კი როგორ დასწრობოდნენო», განაგრძობთ თქვენ, «როდესაც ეს სასწავლებელი ისთე მავნე მოვლენად წარმოუდგინეს საზოგადოებას, რომელსაც შეუძლია კაცს სული ამოართვას პირშიო». ვახ, რა ბოროტ მოქმედებათ გამოგვიყვანეთ, თქვენ დალოცვილო! რატომ აღარ შეგრცხვათ თავში რომ მადლობა გვითხარით! განა ბოროტ მოქმედებისათვის მადლობის თქმა შეიძლება?

---

ღარავინა სცნობდა. აღარას დასდევდა,—ჩვენ, ვაჟი-შვილები, ვჭამდით რასმე, გვირეცხავდა ვინმე, გვიკერავდა ვინმე. ჩვენზედ ზრუნავდა მხოლოდ ერთი ბებერი დედაკაცი, სახელად ვენეცია, რომელიც დიდი ხანი იყო, რაც ჩვენს სახლში იდგა, და ზრუნავდა ისე, როგორც კი მოხუცება ნებას აძლევდა. დედა-ჩემი მთელი დღეობით ანულასთან ატარებდა და სხვაგან დაჰყავდა. ხან ავადმყოფის ტანისამოსის ნაჭერს შემოახვევდა ხალხში წმიდად ცნობილს ბუჩქს იმ იმედით, რომ ავადმყოფობა ბუჩქს შერჩებაო, ხან ახლო-მახლო საყდრებს დაივლიდა, რომლისაც კი დღეობა იყო და მიჰქონდა თავის ხელით ახლად ჩამოსხმული წმიდა სანთელი სწორედ პატარა ანულას ტოლი; მაინც არა გამოვიდა-რა. ჩვენის დის ავადმყოფობას არა ეშველა-რა.

როცა ყოველივე წამალი და საშუალება უსარგებლო გამოდგა, დედა-ჩემმა მიმართა უკანასკნელს ღონის-ძიებას, რომელსაც ამ შემთხვევაში ხმარობენ ხოლმე. დედა-ჩვენმა მომაკვდავი საწყალი ანულა თავის ხელით ეკლესიაში წაიყვანა. ჩემი უფროსი ძმა და მე უკან მივდევდით და მხრით ლეიბები მიგვქონდა. იქ, ეკლესიის ცივს მარმარილოს ფილაქანზედ, წმიდა ღვთის-მშობლის ხატის წინ, გავშალეთ ლეიბები და ზედ ჩვენი და დავაწვინეთ. იმდენი იძახა ყველამ, ანულას ავი სნეულება სჭირსო, რომ ეს თითონ ავადმყოფმაც დაიჯერა ბოლოს. ამის გულისათვის უნდა ორმოცი დღე და ორმოცი ღამე ეკლესიაში დარჩენილიყო, რომ განთავისუფლებულიყო იმ სენისაგან, რომელიც გულ მუცელს უღრღნიდა. წმიდა ადგილმა, ხატების დანახვამ, საკმლის სუნმა თითქო კარგად იმოქმედა საბრალო ავად-მყოფის მწუხარე გულზედ და პირველში მართლაც თითქო მოჯობინდა და ჩვენთან ხუმრობას მოჰყვა.

— რომელი ძმა გინდა დარჩეს შენთან სათამაშოდ, ჰკითხა დედამ ნაზად, ქრისტაკე, თუ იორგი?

ავად-მყოფმა გამკიცხავის თვალით შეჰხედა თავის დედას, თითქო აყვედრიდა ჩვენდამი გულგრილობას და ნელა, გარკვევით მიუგო:

— რომელიო? შერთმანეთოდ არც ერთი არ მინდა. მე მინდა ჩემი ძმები ყველანი ჩემთან იყვნენ.

დედა-ჩემმა იგრძნო რომ ამ სიტყვებმა იმოქმედეს მასზედ და გაჩუმდა.

რამდენსამე წუთს შემდეგ დედამ მოიყვანა ეკლესიაში ჩვენი მესამე ძმაც, მაგრამ ეს მხოლოდ პირველს დღეს დარჩა იქა; მასუკან ყველანი დაითხოვეს და მე მარტო დამაგდეს ჩემს დასთან.

(შემდეგი იქნება).

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა საშინელება რამე ვართ ჩვენ ქალები: ჯვრისა და კეთილის რასაც გვკითხულობს რომ გვიყურს, მაშინაც კი დაზიანების გვერებით, თვითონ ისე ხომ მთლად ქვეყნის დამქცევი ვართ!

ამ სასწავლებლის ხასიათებლად გამართული კონცერტები და საღამოების ადგის გიმნაზიელებს და სისამოვნებას უნდა აძლევდეს საზოგადოებას, ამბობთ, მაგრამ საქმეს უკეთესად წაუვანს შიგ სწავლება». კეთილი! ბრძნ-მეთქი «გულმოდგინე» გაზეთის ავტორებმა ქალბატონებმა თავის ხელის შემწყნარებელ თან უკეთესათ ვერ მოვახერხებდი და, იმედია, თქვენ-ქალბატონები» მინდ ითავებთ ამისთანა საქმის და კონცერტების გამართვას და სრული რიგიანობით და წესიერებით საზოგადოებასაც დაატკბობთ და კეთილ საქმესაც ხელს მოუმართავთ.

მართალია, რაღაც ბოროტი ენების ნათქვამიც გადმოგვეცა, რატომ აღარ სთქვით რას ამბობენ ეს ბოროტი ენები? ხომ არ ამბობენ, რომ საზოგადოების განუყოფელი ფულები გამოყენებულა მიითვისესო?

იმ 105 მ., რომელიც შემოვიდა, 10 მ. ნახევარი იყო და დანარჩენი კომიტეტის ხაზინადარს ბატ. ან დღონტს გადაეცა. უკანასკნელ შენიშვნაშიც ცოტა შეცდომა შეგპარვიათ: ამბობთ მ. კოპაძისას 62 მ. აქვს მიბარებულიო, რომელსაც მარტო 12 მ. უნდა ჰქონდეს: საქ. სასწავლებლის სასარგებლოთ გამართული წარმოდგენიდგან იყო დარჩენილი ხარჯის გარდა 55 მანეთი. ეს ფული ებარა ბატ. ილურიძეს, როცა ზემოხსენებული სასწავლებელი გაიხსნა ბატ. ილურიძემ 55 მანეთი სკოლის ფულიდგან სამი მანეთი რაღაც სცენის ფიცრების გადატან გადმოტანაში (სად სკოლის ფული, სად სცენის ფიცრების გადატან-გადმოტანა!) გვიანგარიშა; 40 მ. კომიტეტს გადასცა და დანარჩენი 12 მ. მ. კოპაძისაზე არის დარჩენილი ბილეთების ფასი და ის გარდმოგვცემსო; მაგრამ არ შეგვჩემოსთ ჩვიმს, ერთ წელიწადზე მეტი გადის და იმ 12 მ. არა ისმის რა.

ნ. ქიქოძისა.

12 ივლისი 1883 წ.

სოფ. ბახვი.

# განცხადებანი

## ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებლისაგან.

მომავალის სეკტემბრისათვის ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში შეიძლება მიღებულ იქმნენ ყველა მაზრიდგან მხოლოდ ორმოც-და-თვრამეტი ყმაწვილი (58): ოც-და-თვრამეტი პირველს (დასაწყისს) განყოფილებაში და ოცი—მეორეში.

პირველს განყოფილებაში მიღებულ იქმნებიან უეგზამენოდ შვიდის და რვა წლის ყმაწვილები. შემომსვლელთ მეორე განყოფილებაში უნდა ეკითხოსთ ქართული წერა-კითხვა და არითმეტიკიდგან შესწავლილი უნდა ჰქონდესთ ყოველ მხრივ რიცხვები ერთიდგან ოცამდის. მესამეთ შემსვლელთ იხოვსის შემოტანა ოც-და-სუთს აგვისტომდის; ოც-და ხუთიდგან თვის დამლევამდის იქნება ახალი მოსწავლეების მიღება. ერთად თხოვნასთან, რომელიც იწერება სასწავლებლის ინსპეკტორის სახელზე, საჭიროა წარმოადგინონ თავად-აზნაურობის მოწმობა, ან მოწმობა ბანკიდგან, რომ მისხოვნელი ბანკის დამფუძნებლად ირიცხება, და წლოვანობის მოწმობა.

მესამე და მეოთხე განყოფილებებში და აგრეთვე პირველს პროგიმნაზიულს კლასში არც ერთი თავისუფალი ადგილი არ არის და ამიტომ ამ კლასებში შემოსვლის თხოვნა მიღებული არ იქმნება. (15—9)

# ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | მოსკოვის ჩაის |
|---|---|
| 1 მ. 10 კ. | 1 მ. 40 კ. |
| — — 1—20 | — — 1—60 |
| — — 1—40 | — — 1—80 |
| — — 1—60 | — — 2— ,, |
| — — 1—80 | — — 2—50 |
| საუკეთესო 2— ,, | — — 3— ,, |

იქვე ისყიდება სხვა საქონელიც: თოფები, რევოლვერები, კრაოტები, ჭურჭელი, ჩაიდნები, გასაღებები, დანები, კოვზები, ტაშტები, კალმები, ქაღალდი, შოკოლადი, კაკაო, კანფეტები, მურაბები, მაგნეზია, უნაგირები, კლეიონკა, წინდები—კაცის და ქალის, ხელ-სახოცები, მაკინტოშის კალენკორი—სულ ყველაფერი 25-დამ 50 პროცენტით უფრო იაფად, ვიდრე სხვა რომელსამე მაღაზიაში.

ვინც ქალაქს გარედამ 25 მანეთიდამ 1.000 მანეთამდინ საქონელს გამოიწერს, გასაგზავნს არაფერს არ იხდის. (100—7)

## ინგლისური რკინის კრაოტები



ერთ საწოლიანი 8 მ. და ორ საწოლიანი 14 მ., ლეიბები გატენილი ზღვის ბალახით 5-დგან—9 მან. ინგლისურს მაღაზიაში. იქვე ისყიდება 25⁰/₀ იაფათ სანამ სხვაგან სადმე: ჭურჭელი, დანა-ჩანგალი, კოვზები, ფანრები, კლიტეები, ხათაბები, რკინის კალმები, ქაღალდი, ნიშები, რევოლვერები, თოფები, კაცისა და ქალის უნაგირები, ალბომები, კლეონკები, ჩაი 1 ლის ხარისხისა. (100—90)

ინგლისის მაღაზიაში

## თმის-ამომყვანი



ამაგრებს თმას და აღარ ინდეკ ფერს აძლევს. ფასი ერთი შუშისა 2 მან., გაგზავნით 2 მანეთი და 28 კაპ. (100—6)

## მაკ-მასტერი

აქვე ისყიდება ქინის პომადა თმების გასამაგრებლად. ფასი 1 მან. სიროპები თავის ტკივილის მოსასპობლად, ტუალეტის საპონი, დუხები და სხვ.

# ფაპიროსები

ფუფუნებული მაღაზია

აუარებელი და ისყიდება ქარხნის ფასებით

ძმათა ტარნოპოლების

ქარხნის ადგილის საწყობში ლორის-მელიქოვის ქუჩა, სახ. ზუბალოვისა სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ.

ნარდათ მყიდველთ დაუთმობათ. (40—39)

## საგლობუსო  კალმები



რომლებითაც შეიძლება წერა სულ მსხვილ, უსუფთო ქაღალდი. ერთად-ერთი სააგენტო—ინგლისის მაღაზია. იქვეა აუარებელი სხვა-და-სხვა გვარისა კალმები, ყოველის ,,ხელისათვის"—25⁰/₀ იაფად, ვინემ სხვაგან. იქვე: მელანი, ქაღალდი, კანვერტები, რვეულები, ლაქი, კარანდაში, პენალი, კალმები, ბუმაჟნიკები, პორტსიგარები, ალბომები, რამკები, მაკრატლები, სამართებლები, სანთელი, სალესი, ცარაშკები ჭურჭლების საწმენდად (ბორაკსი), თეთრეულისათვის, პატარა ხალხის იატაკისათვის კლიონკები. ტაშტები, სავარძლები, სარკეები, სავარცხლები, ბეზმენი, ზარები, ბინოკლები რულეტკები, ვატერპასები, მზის-საათები, კომპასები, ტერმომეტრები, მეწკვები, ნემსები, მაგნატები, სვისტოკი, პომობი, ქამრები, სარტყლები. საყელური, პრობკები, საპრობკეები, კრანები, ფილტრები, შროტკები თავის. ტანისამოსის, ცხენის და პატენტიანი მაკინტოშები, კრაგები, საექიმო ქაღალდი კატერ-კლოზეტისათვის და სხვ. და სხვ.

პატარა—20 კ. (100—48)

## 25⁰/₀ უფრო იაფად ვინამ სხვაგან

ციტრატი, მაგნეზია, ყავის საფქვავი, საურველები, უთოები, კრაოტები, ტანისამოსის ჩამოსაკიდებელი, კლიონკა, დანები, შროტკები, ჩანგლები, კალმები, ჩაი პირველი რიგელისა და სხვ. ინგლისის მაღაზიაში. (10—7)

## მაზანდა

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ პირველიდამ 16 კათათვემდე 1883 წ.

გამომცხვარი პური რუ-

| | | | |
|---|---|---|---|
| ქ თის ფქვილისა — | —1 | გირ. | $5^1/_2$ |
| აჭაურის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $3^1/_2$ |
| მეორისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველის ხარისხის— | 1 | გ. | 5 კ. |
| მეორისა — | —1 | გ. | 4 კ. |
| მესამისა — | —1 | გ. | $3^1/_2$ |
| ჯვარის-მამის პური: | | | |
| პირველის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $5^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | 4 კ. |
| მესამისა — | —1 | გ. | $3^1/_2$ |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხის— | 1 | გ. | 8 კ. |
| მეორის — | —1 | გ. | 7 კ. |
| სუკი | —1 | გ. | 15 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 8 კ. |

# რკინის გზა

თბილისიდამ ქუთაისისკენ მიდის
9 საათზედ და 46 წამ. დილით.

თბილისიდამ ხაშურამდინ
2 საათ. და 54 წამ. შუადღის უკან.

თბილისიდამ ბაქოსკენ
1 საათზედ და 1 წამ. ღამისა.

ბაქოდგან თბილისისკენ
9 საათზედ დილისა.

რიონიდგან თბილისისკენ
2 საათზედ და 30 წამ. ნაშუადღევს.

ბათუმიდგან თბილისისკენ
9 საათ. დილისა.

ფოთიდგან თბილისისკენ
9 საათ. და 41 წამ. დილისა.

ფოთიდამ და ბათუმიდამ მომავალი თბილისში შემოდის
12 საათზედ ღამისა.

ბაქოდამ მომავალი შემოდის თბილისში
8 საათ. და 46 წამ. დილისა.

*Дозв. цензурою Тифлисъ, 18 Іюля 1883 г.* ექ. ხელაძის სტამბა. (*Типографія Е. Хеладзе.*) გამომცემელი ბ. ქართველიშვილი. რედაქტორი ი. მაჩაბელი.